

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის სხდომის
ოქმი №2

დაბა ქედა

02 ივნისი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:20 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევამე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი

უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;

მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:





ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების
უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

02.06.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №13 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2021 წლის 01 ივნისი დღის 18 საათამდე.

დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჯარიმო ქვითრის პროექტი ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად უნდა გადაიგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტში, ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმის რეგისტრაციაში გატარების მიზნით ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

სხდომის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის გადადება, „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №13 განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტებში ცვლილებების შეტანის გზით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხის გადადების თაობაზე კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვროს 2021 წლის ივლისი.

კომისიის თავმჯდომარე:  ამირან დევაძე